ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის 2021 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში

- ✓ დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 14 აპრილი;
- ✓ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 9 აპრილი,
- ✓ კულტურის სახლმა მასპინძლობა გაუწია კულტურის სამინისტროს პროექტით გამართულ სპექტაკლებს :

- რუსთაველის სახელობის თეატრი -ივლისი;
- თავისუფალი თეატრი- ივლისი;
- მესხეთის სახელმწიფო თეატრი- აგვისტო;
- ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი- სექტემბერი;
  ასევე ქ. ონის მოყვარულთა დასი, რეჟისორ გიორგი გამყრელიძის ხელმძვანელობით.

  - ✓ ონელი ბავშვებისათვის საახალწლოდ მოწვეულ იქნა ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი.
  - ✓ კულტურის სახლის წინასაახალწლო კონცერტი.
  - ✓ სარაიონო საახალწლო კონცერტი.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, 2021 წელს კულტურის სახლთან არსებულმა წრეებმა მეცადინეობა დისტანციურ რეჟიმში განაახლეს. შეიქმნა დისტანციური სწავლებისათვის განსაზღვრული სასწავლო პროგრამა და მასზე დაყრდნობით მიმდინარეობდა სასცენო მეტყველებისა და ქორეოგრაფიული წრის მეცადინეობები. მოსწავლეები ეცნობოდნენ ქორეოგრაფიის ისტორიას და უნიკალურ საარქივო მასალებს. სასცენო მეტყველების წრის მეცადინეობებზე ასრულებდნენ მეტყველების სავარჯიშოებს, კითხულობდნენ პროზისა და პოეზიის ნიმუშებს.

პარალელურად კულტურის სახლის ფეისბუქ გვერდზე სისტემატიურად ქვეყნდებოდა საარქივო მასალები განვლილი ღონისძიებებიდან.

თებერვლის თვეში საზოგადობას სოციალურ ქსელში წარმოვუდგინეთ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის, თეონა ბერუჩაშვილის შემოქმედება, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

25 თებერვალი და 3 მარტი წინა წლებში ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების გახსენებით აღვნიშნეთ.

27 აპრილს კულტურის სახლის სცენიდან განხორციელდა ონლაინ კონცერტი სახელწოდებით „რაჭული მუსიკის საღამო“, რომლის ინიციატორიც გახლდათ ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების მუზეუმი. ანსამბლმა „რაჭამ“ მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირდაპირი ტრანსილაციით წარმოადგინა რაჭული ფოლკლორის არაერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში.

მთელი წლის განმავლობაში კულტურის სახლის სოციალურ გვერდზე მიმდინარეობდა რამდენიმე რუბრიკა : „მილოცვები“ (ვასო მაისურაძე, ზაალ ბერუჩევი, ელეონორა მაისურაძე, იზო გამყრელიძე, ეკატერინე რეხვიაშვილი, ავთანდილ გავაშელი და სხვა), „ღვაწლმოსილი ლოტბარები“- (შალვა ტყეშელაშვილი, ღალაკო იაშვილი, ირაკლი ბაქრაძე, ჭუხა ჩიკვილაძე, ვახტანგ კერესელიძე, ჟორა მაისურაძე,

პავლე ბერიშვილი, შალვა ჯაფარიძე და ააკაკი მაისურაძე) და „ღვაწლმოსილი მსახიობები“(ვასო მაისურაძე, ზაალ ბერუჩევი, ელეონორა მაისურაძე, იზო გამყრელიძე, ეკატერინე რეხვიაშვილი, ავთანდილ გავაშელი და სხვა) რომელთა საშუალებითაც ფართო საზოგადოება და ახალგაზრდობა ეცნობოდა ჩვენი რაიონის შემოქმედებით წრეებში გამოჩენილი და ღვაწლმოსილი ადამიანების ცხოვრებასა და შემოქმედებას.
პერიოდულად ვაქვეყნებდით ნიჭიერი ქალბატონის სოფიო რეხვიაშვილის ახალ პოეტურ ქმნილებებს, რითაც მას, როგორც ადამიანს უდიდეს სტიმულს ვაძლევდით მომავალი საქმიანობებისათვის.

პერიოდულად სოციალურ ქსელში ვაქვეყნებდით საქართველოს ცნობილ მწერლებთან და პოეტებთან დაკავშირებულ ინფორმაციებსა და ჩვენს არქივში არსებულ მასალებს. მაგალითად - ვაჟა ფშაველა, ნოდარ დუმბაძე, გალაკტიონი და სხვა).

ოქტომბრის თვეში სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნეთ ჩვენს მიერ მომზადებული საინფორმაციო ვიდეო მასალა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში ამჟამად დასაქმებულია 37 ადამიანი. მათი განათლება და სამუშაო სტაჟი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში პანდემიის გამო ვერ ხერხდება თანამშრომლების გადამზადებისთვის მივლინება. თანამშრომლებთან ყოველწლიურად მიმდინარეობს მეთოდური მუშაობა. სამუშაო წლის ბოლოს ხდება წლის გაწეული მუშაობის ანალიზი და სამომავლო გეგმების დასახვა.